**დამტკიცებულია**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორის
#01/1/16, 14.05.2021 ბრძანებით

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -**

**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი**

**საბაკალავრო პროგრამა**

**პროგრამის სახელწოდება:** ფსიქოლოგია / Psychology / **0313.1.1**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის ბაკალავრი (Bachelor's degree of Psychology )**

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240(ECTS) კრედიტი

**პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული:**
ხელოვნების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**პროგრამის ხელმძღვანელი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე რუსეცკი, --ფსიქოლოგიის დოქტორი**

**სწავლების ენა:** ქართული

## პროგრამის მიზანი

**საბაკალავრო პროგრამის მისიაა** - პიროვნების და ერის კეთილდღეობისათვის ფსიქოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების საკადრო გაძლიერება ახალი თაობის ისეთი სპეციალისტებით, რომლებიც გაცნობიერებულად ირჩევენ გზას პროფესიული ბედნიერებისაკენ.

**პროგამის მთავარი მიზანია** - საქართველოს და საერთაშორისო დონეზე არსებული ინდივიდუალური, ლოკალური, კოლექტიური და საერთაშორისო პრობლემების პრევენციის, უარყოფითი ზეგავლენის მინიმალიზაციის პროცესების ფსიქოლოგიური უზრუნველყოფისთვის ახალი თაობის შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტების მომზადება და მათი საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ღირსეული ინტეგრაცია.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გააგრძელონ განათლების პროცესი შემდეგ საფეხურზე ან/და საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნის ფარგლებში აწარმოონ პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო, ბიზნეს და სამოქალქო სექტორებში. პროგრამის დასრულების შემდეგ, მიღებული ცოდნა ასევე გამოადგებათ სხვა პროფესიული მიმარტულებით საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების დროსაც.

მიზნიდან გამომდინარე **ზოგადი ამოცანებია:**

- მისცეს სტუდენტს ფსიქოლოგიის კომპლექსური და ფუნდამენტური თეორიული ცოდნა. შეასწავლოს პროფესიული კომუნიკაციების უნარები, ეთიკა და ხელი შეუწყოს პროფესიულ ადაპტაციას და მათ სრულყოფილ ინტეგრაციას პროფესიულ საზოგადოებაში.
- უზრუნველყოს სტუდენტი მეთოდოლოგიური ცოდნით.

- ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას რითიც აძლიერებს პროფესიულ იდენტობას, ღირსეულ დასაქმებას ან/და სწავლის გაღრმავებას შემდეგ საფეხურებზე და კვალიფიკაციის ამაღლებას.
- შეასწავლოს ფსიქოლოგიური დახმარების პრაქტიკული გამოყენების უნარები, მეტაკოგნიციური მართვის ტექნიკები, საქართველოს ისტორია და ქრისტიანობის საფუძვლები და გარე სამყაროსთან ეფექტიანი კომუნიკაციების უნარები.

(პროგრამის მიზანთან მიმართებაში დასახული ამოცანების, კონკრეტული პროდუქტის და შედეგების ურთიერთმიმართების სქემა შეგიძლიათ იხილოთ დანართ N1-ში)

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უწვეტი განათლების პრინციპებიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან ნებისმიერი წლოვანების ზოგადი განათლების მქონე პირები.

1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც დადგენილი წესით ჩაირიცხება უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთიან სიაში.
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაკალავრიატში მიღების, სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
3. **გარე მობილობა.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.
4. **შიდა მობილობის წესით, რომელსაც არეგულირებს** უნივერსიტეტის შიდანორმატიული პრაქტიკა.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
6. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
7. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
8. უცხოეთის მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

9. **ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი.** საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

**პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების და უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.**

## სტუდენტის სწავლის შედეგი

**ა) ცოდნა :**

- სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს: ფსიქოლოგიის განვითარების და მეცნიერებად ჩამოყალიბების ისტორიულ დინამიკას;
- ფსიქოლოგიის პოზიცონირებას სხვა მეცნიერებების სისტემასთან მიმართებაში; ფსიქოლოგიის მეცნიერებაში არსებულ მიმდინარეობებს, თეროიულ და გამოყენებითი მიმართულებებს, ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემაში ქართული ფსიქოლოგიური კვლევების ადგილს,
- შემეცნების მრავალფეროვნების ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს, ძირითად ფსიქიკურ პროცესებს და მათთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს; ადამიანის ფსიქიკური განვითარების ეტაპებს და მათ თავისებურებებს;
- სოციალურ სინამდვილეში არსებული პიროვნებათშორისი, ჯგუფთაშორის ურთიერთობების და მაკროკონლფიქტების კანონზომიერებებს;
- პიროვნების არსს და მის შემსწავლელ თეორიებს; მიღებული თეორიული ცოდნის და გამოცდილების დანერგვის მექანიზმებს.

**ბ) უნარი:**

- ფლობს პროფესიული თეზაურუსის საფუძვლებს მშობლიურ და უცხო ენაზე;
- შეუძლია ნაყოფიერი კომუნიკაცია კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან
- იზიარებს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს და ეთიკურ ნორმებს.
- ინტერნაციონალიზაციის და მობილობის შესაძლებლობების გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციებს საერთშორისო პროფესიულ საზოგადოებასთან.
- აქვს რეალური ემპირიული კვლევის დაგემვის პროცესში კვლევის თავისებურებებისა და კონკრეტული მეთოდების შერჩევის და გამოყენების უნარი.
- ფლობს ინფორმაციას და ცოდნას ისეთი ტექნიკების შესახებ როგორებიცაა: კითხვარები, ტესტები, ინტერვიურება, ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება, ჯგუფური და ინდვიდუალური კონსულტირების საბაზისო მიდგომები. იყენებს დაკვირვების, კონტენტ-ანალიზის, გამოკითხვის, და ა.შ. ტექნიკებს.
- მზადაა გამოიყენოს პრაქტიკაში ბაკალავრის სტანტარტისათვის შესაბამისი მიღებული თეორიული და გამოყენებითი ხასიათის ცოდნა -

(პედაგოგიური პრაქტიკა, ლაბორატორიული პრაქტიკა, კლინიკური პრაქტიკა, სამეცნიერო პრაქტიკა). ახალგაზრდულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში აქტიური მონაწილეობა და მოხსენებების საჯარო წარდგენა.

- შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- მზადაა ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენისთვის (საბაზისო ფსიქოლოგიური კონსულტირება; ფსიქოლოგიური განათლება; პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება, კორექცია; ფასილიტაცია/მოდერაცია/მედიაცია;
- შეუძლია ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური, შიდა ჯგუფური და ჯგუფთაშორის კონფლიქტების მართვა ან ხელშეწყობა;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- საკუთარი ცოდნისა და უნარების შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად გამოიმუშაოს ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია;
- საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით (მაგისტრატურა, დოქტორანტურა).
- აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და სწავლაზე;
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

- კურსდამთავრებული აცნობიერებს ფსიქოლოგიის დარგის პროფესიულ, ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს.
- გააჩნია საკუთარი ფსიქოლოგიური რესურსების მართვის უნარი. შეუძლია აზროვნების მრავალფეროვანი რესურსების და მეტაშემეცნების ეფექტური გამოყენება; აქვს თვითშემეცნების უნარი; შეუძლია: თვითგანვითარება თვითზრუნვა, თვითდაცვა; გააჩნია საკუთარი ფსიქოლოგიური რესურსების მართვის უნარი.
- ფლობს ინფორმაციას ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული საფრთხეების შესახებ და აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ფსიქოლოგიური ცოდნა პიროვნების და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამა ითვლასიწინებს არსებულ რეალობებს და წარმოადგენს on-line და of-line ტიპის სინთეზირებულ წარმონაქმნს. სტუდენტებს ეძლევათ გაძლიერებული შესაძლებელიბები საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური ციფრიზაციის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების. ამავე დროს, გამოიყენება სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდები.
ყოველივე პედაგოგს, მისი აკადემიური თავისუფლებების ჩარჩოში - განანათლების და მეცნიერების
სამინსიტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ დადგენილ სტანდარტებში ეძლევა შესაძლებლობას განახორციელოს თავისი სასწავლო კურსი.
ცნობილ და ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს პრაქტიკაში წარმოდგენილი ინოვაციური მეთოდები.
პროგრამის საფუძველს და მის არქიტექტურას წარმოადგენს აპრობირებული „სწავლა-სწავლების ინტეგრირებული მეტაკოგნიციური მეთოდი“ (სიმ-მეთოდი). პროგრამის სასწავლო პროცესი უზრონველყოფილია განათლების ფსიქოლოგიის საუკეთესო პროფესიონალებით რაც იძლევა პერმანენტული სამეცნიერო კვლევების შესაძლებლობებს და მათი შედეგების აპრობაციას. კვლევის პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტებიც.

პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის, დამოუკიდებელ მეცადინეობის, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკის, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარების, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, სამეცნიერო-პოპულარული სტატია, სამეცნიერო სტატია (ან პროექტი), საპატენტო განაცხადი, საბაკალავრო ნაშრომი) მუშაობის, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვისა და სხვა შესაბამის ფორმატში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა: წიგნზე მუშაობის მეთოდი (ამონაწერების/ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.), ვერბალური მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი (ვიზუალურად წარმოდგენილი მასალების ესთეტიურობა, პრეზენტაციის ტექნოლოგია, აპარატურის მოხმარების, ვიდეომასალის დემონსტრირება), პრაკტიკული მეთოდი

(საწარმოოგაცნობითი, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვ.), ევრისტიკული მეთოდი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლ

ემაზე დაფუძნებული და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის და მისი სტატისტიკური ანალიზი, გონებრივი იერიში, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტება, რაციონალური საკითხის დასმა, გადაწყვეტის გზა და მეთოდი, შედეგი და არგუმენტაცია; რეგლამენტის დაცვა, ლოგიკური მსჯელობა, სწორი დასკვნების გაკეთება, შეკითხვებზე ოპტიმალური პასუხი.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორიცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი. შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს (დასწრება, აქტიურობა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.) კომპონენტებად, რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერითი, ზეპირი) ფორმატი, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. შეფასების კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის ჯამი არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს (რაც უდრის არანაკლებ 20 ქულისა).

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები. სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასებიდან ან/და გამოცდიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები და შეფასების მეთოდები დაწვრილებითაა აღწერილი სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად.

სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 30 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);

ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი (მაგ.: 15, 150-161);

ბ.ზ.ზ) ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სქოლიო (მაგ.: იხ. დანართი 2).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი (სქოლიო).

სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა სტუდენტს შეუძლია მხოლოდ 210 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-8 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, საბაკალავრო ნაშრომს განიხილავს (წინასწარი განხილვა) და აფასებს 60 ქულის ფარგლებში არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

საბაკალავრო ნაშრომი შეფასების საერთო სისტემაში განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, მისი დადგენილი წესით დაცვის შედეგად მიღებული შეფასება კი აღინიშნება შესაბამისი დიპლომის სტანდარტულ დანართში.

საბაკალავრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ - ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა.ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;

ა.ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია -10 ქულა;

ა.გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;

ა.დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -20 ქულა;

ა.ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

ბ) საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა - ფასდება 40 ქულით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ბ.ა) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება -10 ქულა;

ბ.ბ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;

ბ.გ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

ბ.დ) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. ხოლო საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და საბაკალავრო ნაშრომი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

## ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი განსაზღვრულია უნივერსიტეტის პერსონალით (აფილირებული; მოწვეული; ადმინისტრაციული) რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვა, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები. აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამა ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალური-ტექნიკური რესურსებით აღჭურვილ სასწავლო ბაზაზე და უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსით: თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი და სამეცნიერო

ელექტრონული ბაზები), კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსები  და სხვ. სხვადასხვა  სტრუქტურებთან და წარმატებულ ორგანიზაციებთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და პროგრამის კომპონენტები განხორციელდება უნივერსიტეტის  ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით.

| სასწავლო კურსი | კოდი | ECTS | სასწავლო საქმიანობის მოცულობა ასტრონომიულ საათებში | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | | | | | ლექტორი | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საკ. | დამ. | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| **სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები** | | | | | | | | | | | | | | |
| თვითშემეცნება და პროფესიული ბედნიერება | 0313.1.1.01 | 6 | 66 | 84 | 6 | | | | | | | | ა. რუსეცკი - პროფესორი | არ აქვს |
| ფსიქოლოგიური პოლითეზაურუსი | 0313.1.1.02 | 4 | 51 | 49 | | | | | | 4 | | | მ. კალანდარიშილი - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები1 | 0313.1.1.03 | 5 | 53 | 72 | 5 | | | | | | | | ზ. ვახანია- პროფესორი | არ აქვს |
| ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები - 2 | 0313.1.1.04 | 5 | 53 | 72 | | 5 | | | | | | | ზ. ვახანია- პროფესორი | 0313.1.1.03 |
| ადამიანის განვითარების ფსიქოლოგია - 1 | 0313.1.1.05 | 5 | 52 | 73 | | | 5 | | | | | | ლ. სულხანიშილი - ასოცირებული პროფესორი | 0313.1.1.04 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანის განვითარების ფსიქოლოგია -2 | 0313.1.1.06 | 5 | 52 | 73 | | | | 5 | | | | | ლ. სულხანიშვილი - ასოცირებული პროფესორი | 0313.1.1.05 |
| ქართული ფსიქოლოგიური კვლევების ისტორია | 0313.1.1.07 | 4 | 52 | 48 | | | | | | | | 4 | ლ. სულხანიშვილი - ასოცირებული პროფესორი | არ აქვს |
| პიროვნების ფსიქოლოგია -1 | 0313.1.1.08 | 5 | 52 | 73 | | | | | 5 | | | | მ. გოგიჩაიშვილი - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| პიროვნების ფსიქოლოგია -2 | 0313.1.1.09 | 5 | 52 | 73 | | | | | | 5 | | | მ. გოგიჩაიშილი - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.04 |
| კოგნიციის ფსიქოლოგია 1 | 0313.1.1.10 | 5 | 52 | 73 | | 5 | | | | | | | პროფესორი - მ. კაკიაშვილი | არ აქვს |
| კოგნიციის ფსიქოლოგია 2 | 0313.1.1.11 | 5 | 52 | 73 | | | 5 | | | | | | პროფესორი - მ. კაკიაშვილი | 0313.1.1.10 |
| განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლები | 0313.1.1.12 | 4 | 52 | 48 | | | | | | | 4 | | პროფესორი - ზ. ვახანია | 0313.1.1.04 |
| ფსიქობიოლოგია | 0313.1.1.13 | 4 | 39 | 61 | 4 | | | | | | | | მ. დევდარიანი - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| ნეიროფიზიოლოგიის საფუძვლები | 0313.1.1.14 | 4 | 54 | 46 | | 4 | | | | | | | ი. ხაჩიძე - მოწვეული პედაგოგი<br>მ. დევდარიანი - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.13 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი ნეიროფსიქოლოგია | 0313.1.1.15 | 4 | 54 | 46 | | | 4 | | | | | | ი. ხაჩიძე - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.14 |
| ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები -1 | 0313.1.1.16 | 5 | 52 | 73 | | | 5 | | | | | | მ. კაკიაშვილი - პროფესორი | არ აქვს |
| ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები - 2 | 0313.1.1.17 | 5 | 52 | 73 | | | | 5 | | | | | მ. კაკიაშვილი - პროფესორი | 0313.1.1.16 |
| ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 | 0313.1.1.18 | 4 | 37 | 63 | | | | | 4 | | | | თ. ჯაღიაშვილი - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.17 |
| ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2 | 0313.1.1.19 | 4 | 37 | 63 | | | | | | 4 | | | თ. ჯაღიაშილი - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.18 |
| სტატისტიკა | 0313.1.1.20 | 4 | 52 | 48 | | | | | | | 4 | | მოწვეული პედაგოგი - მ. ბენაშვილი | არ აქვს |
| მონაცემთა დამუშავება და ანალიზი | 0313.1.1.21 | 6 | 69 | 81 | | | | | | | | 6 | მოწვეული პედაგოგი - მ. ბენაშვილი | 0313.1.1.17<br>0313.1.1.20 |
| ფსიქოდიაგნოსტიკა | 0313.1.1.22 | 5 | 52 | 73 | | | | | 5 | | | | მოწვეული პედაგოგი - ე. სულუხია | 0313.1.1.04<br>0313.1.1.09 |
| სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები | 0313.1.1.23 | 4 | 52 | 48 | | 4 | | | | | | | პროფესორი- მ. კაკიაშვილი | არ აქვს |
| მეტაეკონომიკის ფსიქლოგიური განზომილებანი | 0313.1.1.24 | 4 | 51 | 49 | | | 4 | | | | | | პროფესორი - ა. რუსეცკი | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინდუსტრიული/ორგანიზაციული ფსიქოლოგია | 0313.1.1.25 | 4 | 52 | 48 | | | | | | 4 | | | მოწვეული პედაგოგი - მ. კალანდარიშვილი | 0313.1.1.04 |
| განათლების ფსიქოლოგიის ისტორია და საფუძვლები | 0313.1.1.26 | 4 | 44 | 56 | | | | 4 | | | | | პროფესორი- თ. ჯავახიშვილი | არ აქვს |
| სწავლება-სწავლის ფსიქოლოგია | 0313.1.1.27 | 4 | 52 | 48 | | | | | 4 | | | | პროფესორი - თ.ჯავახიშვილი | არ აქვს |
| სამედიცინო პროცესების ფსიქოლოგიური ხელშეწყობა | 0313.1.1.28 | 4 | 55 | 45 | | | | 4 | | | | | ე. ვარშანიძე - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| სემესტრული პრაქტიკა: ლაბორატორიული პრაქტიკა | 0313.1.1.29 | 5 | 51 | 74 | | | | | | | 5 | | მ. კალანდარიშილი - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| სემსეტრული პრაქტიკა: ფსიქოლოგი-პედაგოგის პრაქტიკა | 0313.1.1.30 | 5 | 54 | 71 | | | | | | | 5 | | თ. საბაური - მოწვეულილ პედაგოგი | არ აქვს |
| სემესტრული პრაქტიკა: კლინიკური პრაქტიკა | 0313.1.1.31 | 5 | 100 | 25 | | | | | | | 5 | | ქ. გაგნიძე - მაკკორმიკი - მოწვეული პედაგოგი | 0313.1.1.04<br>0313.1.1.09 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სემესტრული პრაქტიკა: სამეცნიერო კვლევების მართვის პრაქტიკა | 0313.1.1.32 | 5 | 80 | 45 | | | | | | | 5 | | ო. დოროჰინა - პროფესორი | არ აქვს |
| ახალგაზრდა მკვლევარის საკვალიფიკაციო ნაშრომი | 0313.1.1.33 | 15 | 60 | 315 | | | | | | | | 15 | | |
| **ჯამი** | | **162** | | | **15** | **18** | **23** | **18** | **18** | **17** | **28** | **25** | | |
| **ბ) არჩევითი დისციპლინები** | | **24** | | | | | | | | | | | | |
| ახალი პოზიტიური ფსიქოლოგია | 0313.1.1.001 | **3** | 36 | 39 | 3 | | | | | | | | პროფესორი -თ. ჯავახიშვილი | არ აქვს |
| ზოოფსიქოლოგია | 0313.1.1.002 | **3** | 36 | 39 | | | | | | 3 | | | პროფესორი - ლ. გეონჯიანი | არ აქვს |
| სოციოლოგიის შესავალი | 0313.1.1.003 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | მოწვეული პედაგოგი - ხათუნა ამაღლობელი | არ აქვს |
| კულტუროლოგია | 0313.1.1.004 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | მოწვეული პედაგოგი - ხათუნა ამაღლობელი | არ აქვს |
| კროსკულტურული ურთიერთობების | 0313.1.1.005 | 3 | 36 | 39 | | | | | | | | 3 | ასისტენტ პროფესორი - | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრობლემატიკა საქართველოში | | | | | | | | | | | | | რუსუდან ფუხაშვილი | |
| კონფლიქტებისა და მშიდობის ფსიქოლოგია | 0313.1.1.006 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | ლ. სულხანიშვილი- ასოცრიებული პროფესორი | არ აქვს |
| კონფლიქტების მეტაკოგნიციური მართვა ფსიქოლოგებისათვის | 0313.1.1.007 | 3 | 36 | 39 | | | | | | | 3 | | ა. რუსეცკი - პროფესორი | არ აქვს |
| მოლაპარაკების ხელშეწყობა და მედიაცია | 0313.1.1.008 | **3** | 36 | 39 | | | | | | | | 3 | პროფესორი - ალექსანდრე რუსეცკი ასისტენტი გვანცა ჩხეიძე | არ აქვს |
| მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია | 0313.1.1.009 | **3** | 36 | 39 | | | 3 | | | | | | მოწვეული პედაგოგი - მ. გიორგაშვილი | არ აქვს |
| ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფსიქოლოგია | 0313.1.1.010 | 3 | 36 | 39 | | | | | | 3 | | | ნ. ჯოგლიძე - მოწვეული პედაგოგი | არ აქვს |
| გენდერი და წყვილთაშორის ურთიერთობების ფსიქოლოგია | 0313.1.1.011 | 3 | 37 | 38 | | | 3 | | | | | | მოწვეული პროფესორი - ნიკოლოზ ჯოგლიძე | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები | 0313.1.1.012 | 3 | 36 | 39 | | | | | | 3 | | | პროფესორი - ზ. ვახანია | არ აქვს |
| ფსიქოლოგია ადამიანური რესურსების მართვაში | 0313.1.1.013 | 3 | 38 | 37 | | | | 3 | | | | | მოწვეული პედაგოგი - სოფო ბაბუთიძე | არ აქვს |
| რეკლამის ფსიქოლოგია ფსიქოლოგებისათვის | 0313.1.1.014 | 3 | 36 | 39 | | | | 3 | | | | | პროფესორი - ა. რუსეცკი | არ აქვს |
| მომხმარებლის ფსიქოლოგია | 0313.1.1.015 | 3 | 36 | 39 | | | | | | 3 | | | მოწვეული პედაგოგი- ირინა ჭუმბურიძე | არ აქვს |
| წარმოების მართვის ფსიქოლოგია | 0313.1.1.016 | 3 | 36 | 39 | | | | | 3 | | | | მოწვეული პედაგოგი- ირინა ჭუმბურიძე | არ აქვს |
| საინჟინრო ფსიქოლოგია | 0313.1.1.017 | 4 | 52 | 48 | | | | | 4 | | | | მოწვეული პედაგოგი - მ. კალანდარიშილი | არ აქვს |
| ხელოვნური ინტელექტი | 0313.1.1.018 | 3 | 36 | 39 | | | | | | | | 3 | პროფესორი - ლევ გეონჯიანი | არ აქვს |
| კოსმოსის აღქმის ფსიქოლოგია | 0313.1.1.019 | **3** | 44 | 31 | | 3 | | | | | | | პროფესორი - ლევ გეონჯიანი | არ აქვს |
| იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები | 0313.1.1.020 | **4** | 51 | 49 | | | | | | | 4 | | მოწვეული პედაგოგი - მარიამ გოგიჩაიშვილი | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პიროვნების ფსიქოლოგიური უსაფრთხოება | 0313.1.1.021 | **3** | 36 | 39 | | 3 | | | | | | | მოწვეული პედაგოგი - ნინო დანელია | არ აქვს |
| ფსიქიატრია | 0313.1.1.022 | **3** | 36 | 39 | | | | | 3 | | | | მოწვეული პედაგოგი - მარინე კურატაშვილი | არ აქვს |
| ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია | 0313.1.1.023 | **3** | 36 | 39 | | | | | 3 | | | | მოწვეული პედაგოგი - ეთერ ვარშანიძე | არ აქვს |
| ფსიქოლოგიური კონსულტირება | 0313.1.1.024 | **3** | 36 | 39 | | | | | | | | 3 | მოწვეული პედაგოგი - ე. მაზანაშილი | არ აქვს |
| ფსიქოპათოლოგია | 0313.1.1.025 | **3** | 36 | 39 | | | | | | 3 | | | მოწვეული პედაგოგი - ეთერ ვარშანიძე | არ აქვს |
| ფსიქოსომატიკა | 0313.1.1.026 | **3** | 36 | 39 | | | | | | | 3 | | მოწვეული პედაგოგი - ეთერ ვარშანიძე | არ აქვს |
| ფსიქოთერაპიის ისტორია და მრავალფეროვნება | 0313.1.1.027 | **3** | 36 | 39 | | | | 3 | | | | | მოწვეული პედაგოგი- ეთერ მაზანაშილი | არ აქვს |
| განათლების კლინიკური ფსიქოლოგია | 0313.1.1.028 | **3** | 36 | 39 | | | 3 | | | | | | პროფესორი - თამარ ჯავახიშვილი | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოსექსუალური განვითარება და განათლება | 0313.1.1.029 | **3** | 36 | 39 | | | | | | 3 | | | პროფესორი - თ.ჯავახიშილი | არ აქვს |
| აღზრდის ფსიქოლოგია | 0313.1.1.030 | **3** | 36 | 39 | | 3 | | | | | | | პროფესორი - თ. ჯავახიშვილი | არ აქვს |
| განათლების პრაქტიკული ფსიქოლოგია | 0313.1.1.031 | **3** | 36 | 39 | | | | | | | | 3 | მოწვეული პედაგოგი - სოფიო თევდორაძე | არ აქვს |
| ინკლუზიური უწყვეტი განათლების საფუძვლები | 0313.1.1.032 | **3** | 36 | 39 | | | | | | | 3 | | მოწვეული პედაგოგი - თინათინ საბაური | არ აქვს |
| შშმ პირთა განათლების და დასაქმების პოლიტიკა | 0313.1.1.033 | **3** | 36 | 39 | | | | | | | | 3 | მოწვეული პედაგოგი - თინათინ საბაური | არ აქვს |
| უცხო ენის სწავლების ფსიქოლოგია | 0313.1.1034 | **2** | 19 | 31 | 2 | | | | | | | | პროფესორი - ზურაბ ვახანია | არ აქვს |
| ფსიქომეტრია | 0313.1.1.035 | **3** | 36 | 39 | | | | | | 3 | | | მოწვეული პედაგოგი - მ. კალანდარიშვილი | არ აქვს |
| ჯამი | | **106 36** | | | **14** | **9** | **9** | **9** | **13** | **21** | **13** | **18** | | |
| **ზოგადი ან თავისუფალი კომპონენტები, კვლევა: ა) სავალდებულო** | | **54** | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **დისციპლინები** | | **27** | | | | | | | | | | | | |
| აკადემიური წერა | B0101 | 4 | 36 | 64 | | | | 4 | | | | | მოწვეული პედაგოგი ბელა სარია | არ აქვს |
| უცხო ენა 1 (ინგლისური) | B0102 | 4 | 36 | 64 | 4 | | | | | | | | მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე | არ აქვს |
| უცხო ენა 2 (ინგლისური) | B0103 | 4 | 36 | 64 | | 4 | | | | | | | მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე | B0102 |
| უცხო ენა 3 (ინგლისური) | B0104 | 4 | 36 | 64 | | | 4 | | | | | | მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე | B0103 |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები-ციფრული წიგნიერების უნარი | B0105 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | პროფ.ლევ გეონჯიანი | არ აქვს |
| ბიოეთიკა 1 | B0106 | 4 | 36 | 64 | | | | | 4 | | | | პროფესორი არქიმანდრიტი ადამი | არ აქვს |
| ბიოეთიკა 2 | B0107 | 4 | 36 | 64 | | | | | | 4 | | | პროფესორი არქიმანდრიტი ადამი | B0106 |
| **ბ)არჩევითი დისციპლინები** | | 15 | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები | B0108 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | მოწვეული პედაგოგი ბელა სარია | არ აქვს |
| ლიტერატურის სახისმეტყველებითი ანალიზი | B0109 | 3 | 36 | 39 | | | | 3 | | | | | მოწვეული პედაგოგი ბელა სარია | არ აქვს |
| ძველი აღთქმა | B0110 | 3 | 36 | 39 | | | 3 | | | | | | დეკანოზი იაკობი(უშიკიშვილი) | არ აქვს |
| ახალი აღთქმა | B0111 | 3 | 36 | 39 | | | | 3 | | | | | დეკანოზი იაკობი(უშიკიშვილი) | არ აქვს |
| ქრისტიანული მოძღვრების შესავალი | B0112 | 3 | 36 | 39 | | 3 | | | | | | | დეკანოზი იაკობი(უშიკიშვილი) | არ აქვს |
| საქართველოს ისტორია და კულტურა 1 | B0113 | 3 | 36 | 39 | 3 | | | | | | | | პროფ. ზაზა წურწუმია | არ აქვს |
| საქართველოს ისტორია და კულტურა 2 | B0114 | 3 | 36 | 39 | | 3 | | | | | | | პროფესორი ზაზა წურწუმია | B0113 |
| ანთროპოლოგია | B0115 | 3 | 36 | 39 | | | | | 3 | | | | პროფესორი არქიმანდრიტი ადამი | არ აქვს |
| ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები და მეთოდები | 0313.1.1.038 | 3 | 36 | 39 | | | 3 | | | | | | ასისტენტ-პროფესორი - ოლგა დოროჰინა | არ აქვს |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინფორმაციული წიგნიერების საფუძლები | 0313.1.1.037 | 3 | 36 | 39 | | | | | 3 | | | | მოწვეული პედაგოგი - ნინელი მელქაძე | არ აქვს |
| მეტყველების კულტურა | B0105 | 3 | 36 | 39 | | | 3 | | | | | | მოწვეული პედაგოგი ბელა სარია | არ აქვს |
| ელექტრონული სწავლა-სწავლების ფსიქოლოგია | 0313.1.1.036 | 3 | 37 | 38 | | | | 3 | | | | | ლ. გეონჯიანი - პროფესორი | არ აქვს |
| **სულ** | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სავალდებულო სპეციალობით: | | 162 მათ შორის | | | 15 | 18 | 23 | 18 | 18 | 17 | 8 | 10 | |
| **პრაქტიკა** | | **20** | | | | | | | | | **20** | | |
| **სადიპლომო** | | **15** | | | | | | | | | | **15** | |
| **არჩევითი სპეციალობით** | | **36** | | | **6** | **3** | **3** | **3** | **3** | **9** | **3** | **6** | |
| **სავალდებულო უნივერსიტეტის** | | **27** | | | **7** | **4** | **4** | **4** | **4** | **4** | | | |
| **არჩევითი საუნივერსიტეტო** | | **15** | | | **3** | **3** | **3** | **3** | **3** | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | **240** | | | **31** | **28** | **33** | **28** | **28** | **30** | **31** | **31** | |